Bundesamt
für Migration
und Flüchtlinge

პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ ინფორმაცია გერმანიის ლტოვილთა, მიგრაციისა და ინტეგრაციის ფონდიდან დაფინანსების მისაღებად.

ქვემოთ მოცემული ინფორმაცია პერსონალური მონაცემების იმგვარი გადამუშავების შესახებ, რომელსაც ახორციელებს გერმანიის ლტოლვილთა, მიგრაციისა და ინტეგრაციის ფონდის (AMIF) მმართველი ორგანო სხვადასხვა ორგანიზაციების მეშვეობით, ამავე ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, თქვენთვის ხელმისაწვდომია ვროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მე-13 და მე-14 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად.

1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზნები და სამართლებრივი საფუძვლები

AMIF-ის მმართველი ორგანო AMIF-ის დაფინანსების ეროვნული სახელმძღვანელო პრინციპების საფუძველზე მართავს ევროპულ დაფინანსებას. იგი აფინანსებს გარე პროექტების სპონსორებს. დაფინანსების სამართლებრივი საფუძველია ევროკავშირის 2021/106 და 2021/1147 რეგულაციები, ასევე ამ რეგულაციების საფუძველზე შექმნილი პროექტის განხორციელების წესები და პროცედურებთან დაკავშირებული ევროკომისიის რეგულაციები.
პერსონალურ მონაცემთა დამუშავება ხორციელდება ევროკავშირის 2021/1060 რეგულაციის მე-4 მუხლის, ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის და ევროკავშირის 2016/679 და 2018/1725 რეგულაციების შესაბამისად. პერსონალური მონაცემები

პერსონალური მონაცემები განმცხადებლის ITSI -ის მართვის პანელში, განაცხადის გასაკეთებლად, გადაწყვეტილების მისაღებად, ფულის გადასახდელად, მართვისა და მონიტორინგის მიზნით გამოიყენება. ისინი ასევე ემსახურება როგორც დაფინანსების გამოყენების ზოგად დოკუმენტირებას. მონაცემების დამუშავება ხდება ფედერალური საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის (ITZBund) სერვერებზე, როგორც დავალების დამუშავება ევროკავშირის ზოგადი რეგულაციის 28-ე მუხლის შესაბამისად.

2. მიმღების პერსონალური მონაცემების კატეგორიზაცია

პერსონალურ მონაცემთა დამუშავება ევროკავშირის 2021/1060 რეგულაციის მე-4 მუხლის, და ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად მოიცავს განაცხადის მონაცემების მიწოდებას სპეციალიზებული ფედერალური და სახელმწიფო ორგანოებისთვის/კომიტეტებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ასევე ნებისმიერი თანადამფინანსებელი ორგანოსთვის, რომელსაც ეწოდება ინფორმაცია პროექტის განაცხადზე, AMIF -ის ადმინისტრაციის მიერ დაფინანსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების და პროექტის რესურსების მიზნობრივი გამოყენების შესახებ.

აუცილებლობის შემთხვევაში, აუდიტის მიზნებისთვის პერსონალური მონაცემების შემდგომი დამუშავება ხდება აუდიტის ორგანოების მიერ. ამ დამუშავების სამართლებრივი საფუძველია აგრეთვე 2021/1060 რეგულაციის (EU) მე-4 მუხლი, ევორკავშირის ზოგადი რეგულაციის მე-6

მუხლის 1-ლი ნაწილი და ფედერალური ბიუჯეტის რეგულაციის შესახებ ბრძანების 44-ე მუხლი.
თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოების წესრიგის დასაცავად და სახელმწიფო ქონების არასათანადო გამოყენების გამორიცხვის მიზნით, განმცხადებლის პერსონალური მონაცემები შეიძლება გაეგზავნოს კონსტიტუციის დაცვის ფედერალურ ოფისს მონაცემთა დაცვის ფედერალური კანონის მე-3 ნაწილის დანევროკავშირის ზოგადი რეგულაციის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.
მიმღები ორგანოების კატეგორიზაცია შესაძლებელია ასე მოხდეს:
- ფედერალური და სახელმწიფო სამინისტროები ან დაქვემდებარებული ორგანოები, აგრეთვე ფედერალური წარმომადგენლები,
- სახელმწიფო სამსახურები და ორგანოები, აგრეთვე სხვა ორგანიზაციები, რომლებიც პროექტის თანადამფინანსებლები არიან,
- შემმოწმებელი ორგანოები:

- EU-Fonds (AMIF) Prüfbehörde,
- EU-Kommission oder ihre Vertreter,
- Europäischer Rechnungshof,
- Europäisches Amt für Betrugsbekämpfung (OLAF),
- Bundesrechnungshof.

3. ტერმინთა განმარტება

ევროკავშირის დაცვის ზოგადი რეგულაციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ტერმინი დამუშავება ნიშნავს ნებისმიერ ოპერაციას ან ოპერაციების სერიას, რომელიც ხორციელდება ავტომატური პროცედურების დახმარებით ან მის გარეშე პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით, როგორიცაა შეგროვება, ჩაწერა, ორგანიზაცია, სტრუქტურირება, შენახვა, ადაპტაცია ან შეცვლა, კითხვა, მოთხოვნა, გამოყენება, გამჟღავნება გადაცემის, გავრცელების ან უზრუნველყოფის, შედარების ან კომბინაციის, შეზღუდვის, წაშლის ან განადგურების სხვა ფორმით.
პერსონალური მონაცემები ევროკავშირის ზოგადი რეგულაციების მე-4 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისადარის ყველა ინფორმაცია, რომელიც ეხება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს (შემდგომში „მონაცემთა სუბიექტი“); ფიზიკური პირი ითვლება იდენტიფიცირებად, თუ მისი იდენტიფიცირება შესაძლებელია პირდაპირ ან ირიბად, კერძოდ, იდენტიფიკატორის მითითებით, როგორიცაა სახელი, საიდენტიფიკაციო ნომერი, მდებარეობის მონაცემები, ონლაინ იდენტიფიკატორი ან ერთი ან მეტი სპეციალური მახასიათებელი, რომელიც გამოხატავს ამ ფიზიკური პირის ფიზიკურ, ფიზიოლოგიურ, გენეტიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, კულტურულ ან სოციალურ იდენტობას.
AMIF-ის დაფინანსების პროექტებში, ევროკავშირის დაცვის ზოგადი რეგულაცია ვრცელდება დაფინანსების მიმღებების თანამშრომლებზე, თანამშრომლობის პარტნიორებზე, ქვეკონტრაქტორებზე, ადამიანებზე, რომლებიც მოხალისეები არიან პროექტში და პროექტების სამიზნე ჯგუფზე.

4. პერსონალური მონაცემების დამუშავების კატეგორიები

AMIF-ის მმართველი ორგანო ამუშავებს მხოლოდ მონაცემთა სუბიექტების პერსონალურ მონაცემებს, რომლებიც დაკავშირებულია AMIF-ის დაფინანსების განაცხადსა და დაფინანსებასთან.
პროექტზე მომუშავე თანამშრომლების პერსონალური მონაცემებიდან ძირითადად

გროვდება და ინახება შემდეგი: გვარი, სახელი, აქტივობა პროექტში, პირადი ნომერი (თუ შესაძლებელია), დაბადების თარიღი, ოჯახური მდგომარეობა, კლასიფიკაცია კოლექტიური ხელშეკრულების მიხედვით (TVÖD), სამუშაო დროის მოდელი და გადახდილი ხელფასის ოდენობა.

ქვეკონტრაქტორებისთვის და პროექტზე ნებაყოფლობით მომუშავე ადამიანებისთვის, ძირითადად გროვდება და ინახება შემდეგი პერსონალური მონაცემები: გვარი, სახელი, მისამართი, ხელშეკრულების საგანი (საქმიანობა და პროექტის აქტუალობა), მომსახურების სფერო (მაგ. სამუშაო საათები/დღეები), ანაზღაურება (მაგ. საათობრივი განაკვეთი).
სამიზნე ჯგუფის წევრებისგან ძირითადად გროვდება შემდეგი პერსონალური მონაცემები: გვარი, სახელი, დაბადების თარიღი, სქესი, წარმოშობის ქვეყანა, ეროვნება, ბინადრობის ნებართვის ტიპი და ნომერი.

5. მონაცემთა შენახვა და წაშლა

პროექტის დოკუმენტები შეინახება პროექტის დამთავრებიდან 10 წლის განმავლობაში, პროექტის დასრულებიდან (სექცია 31, პუნქტი 2 AMIF დაფინანსების სახელმძღვანელო პრინციპები). ამ ვადის გასვლის შემდეგ პერსონალური მონაცემები წაიშლება.

6. მონაცემთა სუბიექტების უფლებები

მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა თითოეულ სუბიექტს აქვს შემდეგი უფლებები დამუშავებულ პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი წინაპირობები:

- ინფორმაცია დამუშავების შესახებ (მუხლი 15 GDPR)
- არასწორი მონაცემების შესწორება (მუხლი 16 GDPR)
- მონაცემების წაშლა, რომელიც აღარ არის საჭირო (მუხ. 17 GDPR)
- გადამუშავების შეზღუდვა (მუხლი 18 GDPR)
- მონაცემთა გადაცემა (მუხლი 20 GDPR)
- უარი დამუშავებაზე (მუხ. 21 GDPR)

6. მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანო და საკონტაქტო მონაცემები

AMIF-ის დაფინანსების მართვისას, მიგრაციისა და ლტოლვილთა ფედერალური ოფისის AMIF ადმინისტრაციული ორგანო, როგორც პასუხისმგებელი მხარე (მუხლი 4 No. 7 GDPR), უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას. მათთან დაკავშირება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე:

Bundesamt für Migration und Flüchtlinge
AMIF-Verwaltungsbehörde (Referat 92E)
Frankenstraße 210
90461 Nürnberg

E-Mail: AMIF2021-2027@bamf.bund.de

მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებითკონკრეტულიკითხვებზე მიმართეთმონაცემთა დაცვის ოფიცერს:
E-Mail: Datenschutzbeauftragter@bamf.bund.de

7. მონაცემთა დაცვისა და ინფორმაციის თავისუფლების ფედერალური ოფიცერი

თუ მონაცემთა სუბიექტი თვლის, რომ მისი უფლებები დაირღვა ფედერალური საჯარო

ორგანოების მიერ მისი პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების ან გამოყენების დროს, მას შეუძლია საჩივრით მიმართოს პასუხისმგებელ ზედამხედველ ორგანოს GDPR-ის 77-ე მუხლის შესაბამისად. GDPR-ის 51-ე მუხლის თანახმად, ფედერალური სექტორისთვის პასუხისმგებელი საზედამხედველო ორგანოა:

მონაცემთა დაცვისა და ინფორმაციის თავისუფლების ფედერალური კომისარი (BfDI)
Graurheindorfer 153
53117 Bonn
E-Mail: poststelle@bfdi.bund.de